სახელმწიფო აუდიტის სამსახური

გენერალური აუდიტორის ბრძანება

№ 008039/21

08/12/2023

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ი“ და „ყ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა“ დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საფუძველი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2023 წლის 8 დეკემბრის №8038/30 ოქმი.

ცოტნე ყავლაშვილი
გენერალური აუდიტორი

2024

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აუდიტორული საქმიანობის 2024 წლის გეგმა

2023

სარჩევი

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა 3

1. შეჯამება 3
2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი 4

ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა 5

1. ფინანსური აუდიტები 5
2. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები 7
3. შესაბამისობის თემატური აუდიტები 8
4. ეფექტიანობის აუდიტები 12

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა

1. შეჯამება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, 2024 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმა განსაზღვრა **57 აუდიტით**, რითაც იგეგმება **ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 92%-ის დაფარვა**.

გეგმის მაჩვენებლები	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
აუდიტების რაოდენობა	52	57
დაფარვის მაჩვენებელი (მლნ ლარი)	20,418	23,502
დაფარვის მაჩვენებელი (%)	89%	92%

აუდიტების განაწილება აუდიტების სახეობების მიხედვით:

რაოდენობა აუდიტის სახეობების მიხედვით	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ფინანსური აუდიტი	15	13
შესაბამისობის აუდიტი	27	28
ეფექტიანობის აუდიტი	10	16

2023 წელთან შედარებით მცირდება ფინანსური აუდიტების რაოდენობა, თუმცა იზრდება თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შემთხვევაში, ინდივიდუალური უწყებების ფინანსური აუდიტების ნაცვლად, ჩატარდება რესპუბლიკური ბიუჯეტების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგებების ფინანსური აუდიტი.

გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის ექსპერტების მიერ SAI-PMF-ის[1] შეფასების მიხედვით მიღებული რეკომენდაციები, რის შედეგად 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო უწყებათაშორისი აუდიტების განხორციელება. 2019-2023 წლებში ჩატარდა 12 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი. 2024 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით გათვალისწინებულია 3 მსგავსი სახეობის აუდიტი.

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის შედეგებმა ნათლად წარმოაჩინა ამ სახეობის აუდიტის ჩატარების უპირატესობები. აღნიშნული აუდიტის ფარგლებში თემატურად იფარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია, განსხვავებით ტრადიციული შესაბამისობის აუდიტისგან, რომელიც კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ უწყებაზე. რამდენადაც შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ხშირ შემთხვევაში სისტემურია და საერთოა საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობისთვის, მსგავსი ნაკლოვანებების აღმოფხვრა ხშირად სცილდება ცალკეული უწყების უფლებამოსილებას. სწორედ ამიტომ მსგავსი მიდგომა საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს

[1] უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩო, რომლის მიხედვით, სამსახურის საქმიანობა შეფასდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAIs) მიმართებით.

საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

შესაბამისად, უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები რაოდენობრივად ამცირებს ჩატარებულ აუდიტებს, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტის შედეგად მოტანილ სარგებელსა და დაფარული ორგანიზაციების რიცხვს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. აქედან გამომდინარე, 2024 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური კვლავ ფოკუსირდება უწყებათაშორის შესაბამისობის აუდიტებზე.

2024 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით, ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა 16-ით განისაზღვრა. მისი წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში 28%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვები. 2022-2023 წლებში სხვადასხვა წყაროდან მიღებული მომართვების 46% ასახულ იქნა 2022-2024 წლების აუდიტორული საქმიანობის გეგმებში.

2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტების მიხედვით. გეგმის მიზანია, სამსახურის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებული გახადოს საჯარო ფინანსების მნიშვნელოვან საკითხებზე და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის არსებული რესურსების სწორ განაწილებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენისას ეყრდნობა აუდიტების შერჩევის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს.[2] გარდა ამისა, აუდიტის სამსახური ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და ინიციატივებს. დაგეგმვის პროცესში სამსახური ხელმძღვანელობს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის რისკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე უწყების/პროგრამის მნიშვნელობის ზეგავლენას და გამოვლენილი რისკების რეალიზების ალბათობას.

[2] ძირითადი კრიტერიუმებია:

- მხარჯავი უწყებების/პროგრამის ასიგნებების წილი მთლიან საბიუჯეტო ასიგნებებში;
- ზედამხედველობის რისკი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა;
- გარე წყაროების მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი მართვის პრობლემები.

ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა

1. ფინანსური აუდიტები

ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ფინანსური აუდიტების შედეგად მიღებული ინფორმაცია აისახება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კანონით ვალდებულია პარლამენტს წარუდგინოს „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენება, მთავრობის მიერ ანგარიშის მომზადებიდან 50 დღის ვადაში (არაუგვიანეს 20 მაისისა).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგია მიზნად ისახავს ფინანსური აუდიტის ფარგლებში ბიუჯეტის 90%-იანი და მეტი დაფარვის უზრუნველყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2023 წელს ჩატარებული აუდიტებით სამსახურმა დაფარა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 89%, 2024 წელს კი სამსახური გეგმავს აღნიშნული მაჩვენებლის გაზრდას 92%-მდე.

2024 წელს განსაზღვრულია 13 ფინანსური აუდიტის ჩატარება:

- 9 ფინანსური აუდიტი – ცენტრალური ბიუჯეტი;
- 1 ფინანსური აუდიტი – აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტი;
- 1 ფინანსური აუდიტი – აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტი;
- 2 ფინანსური აუდიტი – მუნიციპალური ბიუჯეტი.

ფინანსური აუდიტებით დაიფარება:

- სახელმწიფო ბიუჯეტის 92%;
- აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტის 100%;
- აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტის 100%;
- მუნიციპალური ბიუჯეტების 69%.

N	ბიუჯეტის დონე	აუდიტის დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2023	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
2	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2023	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება

					კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
3	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2023	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
4	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2023	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
5	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2023	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
6	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2023	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
7	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	2023	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
8	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2023	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
9	ცენტრალური ბიუჯეტი	საგადასახადო შემოსავლები	2023	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
10	აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2023	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

11	აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2023	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
12	მუნიციპალური ბიუჯეტი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2023	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
13	მუნიციპალური ბიუჯეტი	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2023	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

2. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტების ჩატარება აუდიტის სამსახურის ახალი მიმართულებაა, რაც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენას.

2024 წლის აუდიტის გეგმით განისაზღვრა 3 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი:

N	აუდიტის დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	საჯარო უწყებებში მივლინებების მართვის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საჯარო უწყებებში განხორციელებული სამივლინებო ხარჯების მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და კანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.
2	უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხარჯვითი ოპერაციებისა და ქონების მართვის შესაბამისობის აუდიტი *	2020-2022	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.
3	მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2023 წელს და დასრულდება 2024 წელს.

3. შესაბამისობის თემატური აუდიტები

შესაბამისობის აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის ოპერაციებისა და საქმიანობის შესაბამისობის შეფასება კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან, ასევე ორგანიზაციული მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან. შესაბამისობის აუდიტი საშუალებას იძლევა, ყურადღება გამახვილდეს უფრო მაღალი რისკის მატარებელ და აქტუალურ თემებზე.

2024 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განისაზღვრა 25 შესაბამისობის (თემატური) აუდიტის ჩატარება, მათგან:

- ცენტრალური ხელისუფლების დონეზე – 9 შესაბამისობის აუდიტი;
- აჭარის ა/რ-ში – 3 შესაბამისობის აუდიტი;
- აფხაზეთის ა/რ-ში – 3 შესაბამისობის აუდიტი;
- მუნიციპალიტეტებში – 10 შესაბამისობის აუდიტი.

N	აუდიტის დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის და გაწეული ხარჯების მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის საკითხები.
2	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხები.
3	სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხები.
4	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხები.
5	სსიპ - სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის - „დელტას“ აქტივების მართვისა და შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სსიპ - სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის - „დელტას“ აქტივების მართვისა (მათ შორის, შვილობილი ორგანიზაციების) და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესის მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.
6	სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

7	სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო)“ შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო)“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
8	შპს „ენგურჰესის“ შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს შპს ,,ენგურჰესის“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
9	საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწეული კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
10	ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
11	შუახევის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
12	ხულოს მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
13	აბაშის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის

				საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
14	ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
15	კასპის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
16	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
17	ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
18	ონის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2024 (6 თვე)	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის

				კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
19	ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2024 (6 თვე)	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
20	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2024 (6 თვე)	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
21	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2024 (6 თვე)	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
22	ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2022-2024 (6 თვე)	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების

				მართვის მიმართულებები.
23	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის - „მოსახლეობის სოციალური დაცვა“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს პროგრამების შესრულების მდგომარეობისა და პროგრამების შესრულების პროცესში ფულადი სახსრების ხარჯვის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან.
24	სსიპ - ეკონომიკური პროგრამების სააგენტოში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს პროგრამების შესრულების მდგომარეობისა და პროგრამების შესრულების პროცესში ფულადი სახსრების ხარჯვის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან.
25	შპს „სამედიცინო ცენტრ „დიომედში“ შემოსავლების, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის, მიღება/ხარჯვისა და გამოყენების შესაბამისობის აუდიტი	2022-2023	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში შემოსავლების, ფულადი სახსრების აღრიცხვის, მათი მიღება-ხარჯვისა და გამოყენების შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

4. ეფექტიანობის აუდიტები

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტი მიზნად ისახავს შეაფასოს, რამდენად იქნა მიღებული გადახდილი ფასის შესაბამისი სარგებელი. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება ხელს უწყობს საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას, მათ მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოყენებას.

2024 წლის აუდიტის გეგმით გათვალისწინებულია 16 ეფექტიანობის აუდიტი, რაც მთლიანი აუდიტორული საქმიანობის (57 აუდიტი) 28%-ს შეადგენს.

N	აუდიტის დასახელება	სფერო	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	შრომის უსაფრთხო პირობების ხელშეწყობა [*]	ჯანმრთელობის დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეაფასოს ქვეყნის მასშტაბით შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობის ღონისძიებების ეფექტიანობა, გამოავლინოს პროცესებში არსებული ნაკლოვანებები და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

[*] აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2023 წელს და დასრულდება 2024 წელს.

2	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ზოგადი განათლების სფეროში *	განათლება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები.
3	„სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის მართვა (შემდგომი რეაგირება)	ჯანმრთელობის დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეაფასოს რამდენად გაუმჯობესდა 2015 წლის შემდეგ სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის მდგომარეობა. ამ პროცესში შეფასებული იქნება წინა აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც განხორციელდა სოფლის მოსახლეობისთვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით.
4	ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები	გარემოს დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეაფასოს ქვეყნის მასშტაბით ბიოლოგიურ მრავალფეროვნებასა და გარემოზე ზრუნვის პროგრამების მართვის ღონისძიებების ეფექტიანობა, გამოავლინოს პროცესებში არსებული ნაკლოვანებები და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.
5	საჯარო სექტორში არსებული რეესტრებისა და მონაცემთა ბაზების მართვა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეაფასოს შერჩეული საჯარო რეესტრების/მონაცემთა ბაზების სისრულე, ხარისხი და მათ ეფექტიან მართვასთან დაკავშირებული საკითხები.
6	მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური მონაცემების აღრიცხვა, ანალიზი და გამოყენება	გარემოს დაცვა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს „მდგრადი განვითარების მიზნების (SDG-ები) ეროვნულ დოკუმენტში“ გაწერილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებები. კერძოდ, SDG 13-ის შესრულების მდგომარეობა, რაც მოიცავს კლიმატის მდგრადობის მიღწევის საკითხებს.
7	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	პროექტს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამოუკიდებელი აუდიტის დასრულების შემდგომ, საგზაო დეპარტამენტი მსოფლიო ბანკს წარუდგენს აუდიტის დასკვნას და მოითხოვს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით SRAMP-ით გათვალისწინებული თანხის სესხად აღიარებას.
8	შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა კარიერული და წოდებრივი ზრდის სისტემების მართვა *	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა კარიერული და წოდებრივი ზრდის მართვის ეფექტიანობის საკითხები და გასცეს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები.
9	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს სააღსრულებო პროცესის ეფექტიანობა	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს სააღსრულებო წარმოების პროცესი და გასცეს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები.
10	სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	საერთო დანიშნულების სახელმწიფო	აუდიტის მიზანია შეისწავლოს, რამდენად თანხვედრაშია სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი ქვეყნის განვითარების საშუალოვადიან გეგმებთან, აგრეთვე რამდენად

* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2023 წელს და დასრულდება 2024 წელს.
* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2023 წელს და დასრულდება 2024 წელს.

			მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	გათვალისწინებულია ბიუჯეტის პროგრამების და ქვეპროგრამებისთვის აღქმადი და გაზომვადი საშუალოვადიანი და საბოლოო მიზნობრივი მაჩვენებლები.
11	განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების სოციალური ინტეგრაცია	განათლება; სოციალური დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების სათანადო პირობებით უზრუნველყოფისა და განათლების მიღების კუთხით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები.
12	პანდემიის შემდგომ პერიოდში ინფექციების მართვა	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული და დანერგილი მექანიზმები, რამდენად უზრუნველყოფს პანდემიის შემდგომ პერიოდში ინფექციების პრევენციასა და ეფექტიან მართვას.
13	ციფრული ჯანდაცვა	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს, რამდენად ეფექტიანად და პროდუქტიულად მართავენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულები სისტემაში შემავალ ციფრული ჯანმრთელობის ელემენტებს.
14	სამედიცინო დაწესებულებების ზედამხედველობა	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სახელმწიფოს მიერ დანერგილი ზედამხედველობის მექანიზმები, რამდენად ეფექტიანად უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხს.
15	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	განათლება	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს, რამდენად ხორციელდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სისტემური და მიზანმიმართული რეფორმები, რათა საბავშვო ბაღებმა დააკმაყოფილონ „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტით“ განსაზღვრული პირობები და მოთხოვნები.
16	მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვა და განკარგვა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის პროცესი და გასცეს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები.